საქართველოში, როგორც ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ქვეყანაში, არსებობს მრავალი ეკლესია-მონასტერი და ამიტომაც საინტერესო ქვეყანაა რელიგიური ტურიზმის მოყვარულთათვის. ქართული საეკლესიო ხელოვნება ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია, რომელიც აერთიანებს კლასიკურ გუმბათოვან სტილს თავდაპირველ ბაზილიკურ სტილთან და ქმნის IX საუკუნიდან ცნობილ ქართულ ორიგინალურ ჯვარ-გუმბათოვან სტილს. მანამდე კი ქართული ეკლესიების უმეტესობა ბაზილიკას წარმოადგენდა. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნიმუშები არსებობს საქართველოს ფარგლებს გარეთ: ბაჩკოვოს მონასტერი ბულგარეთში (ააგო 1083 წელს ქართველმა მხედართმთავარმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ), ივერონის მონასტერი ათონის მთაზე (X საუკუნე) და წმინდა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში (IX საუკუნე).

წმინდა სამების საკათედრო ტაძარი ითვლება თბილისის ახალ მარგალიტად და არის ყველაზე დიდი ეკლესია ქვეყანაში. ტაძარი დასრულდა 2004 წელს და აშენდა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავის აღსანიშნავად. ტიპოლოგიურად წმინდა სამების ტაძარი ჯვრულ მოხაზულობაში ჩასმული ტრიკონქია, რვა ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. ტაძარში მოხვედრა შესაძლებელია სამი მხრიდან: დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში დატანებული პორტალებიდან.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი მდებარეობს თბილისიდან 20 კმ-ის დაშორებით, ქალაქ მცხეთაში. ტაძარი ადრეული შუა საუკუნეების შედეგს წარმოადგენს და იუნესკოს მიერ აღიარებულია როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. სიდიდით იგი მეორე საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში თბილისის სამების საკათედრო ტაძრის შემდეგ.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი მართლმადიდებლობის უმნიშვნელოვანესი ცენტრია საქართველოში. სვეტიცხოველში დაკრძალულია უფლის კვართი და წმ. ელია წინასწარმეტყველის მოსასხამი. არსებული ნაგებობა აშენდა 1029 წელს არქიტექტორ არსუკიდის მიერ IV საუკუნის ძველი ეკლესიის ადგილზე.

ალავერდის მონასტერი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში, თელავიდან 20 კმ-ში. 2014 წლამდე, თბილისის წმინდა სამების ტაძრის აგებამდე, ის წარმოადგენდა ქვეყნის ყველაზე მაღალ საეკლესიო ნაგებობას, რომლის გუმბათის სიმაღლე 55 მეტრს აღწევს. ამავდროულად, საერთო სიდიდით ალავერდი ჩამორჩება სვეტიცხოვლის ტაძარს.

საკათედრო ტაძარი წარმოადგენს მთავარ სანახაობას ტაძრის ირგვლივ არსებულ გალავანთან ერთად. შენობას აქვს სწორკუთხა მოხაზულობა და გუმბათი. ტაძრის შიდა კედლებზე შემორჩენილია XI, XV და XVII საუკუნეების მოხატულობა. **ბაგრატის საკათედრო ტაძარი** აგებულია XI საუკუნეში და მდებარეობს ქუთაისში, იმერეთის რეგიონში. წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ნიმუშს და არის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის. საუკუნეების განმავლობაში ტაძარმა არაერთი დაზიანება მიიღო. დღევანდელი მისი სახე არის 1950-იან წლებში დაწყებული და 2012 წელს დასრულებული რესტავრაციის შედეგი.

ბაგრატის ტაძრის მშენებლობა დაიწყო XI საუკუნის დასაწყისში მეფე ბაგრატ III-მ. აქედან მომდინარეობს ტაძრის სახელწოდებაც. ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე არსებული წარწერის მიხედვით მშენებლობა დაიწყო, როდესაც „ქორონიკონი იყო 223“, ანუ 1003 წელს. 1692 წელს ბაგრატის ტაძრის გუმბათი ჩამოინგრა იმერეთის სამეფოში ოსმალეთის შემოსევის დროს. 1994 წელს ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერთან ერთად, იუნესკომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

გელათის მონასტერი წარმოადგენს შუა საუკუნეობრივ სამონასტრო კომპლექსს იმერეთის რეგიონში, ქუთაისთან ახლოს. საეკლესიო ხუროთმოძღვრების ეს გამორჩეული ნიმუში ააგო მეფე დავით აღმაშენებელმა 1106 წელს.

გელათის კომპლექსში შედის სამი ეკლესია. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ცენტრალურ-გუმბათოვანი მთავარი ტაძარი ააგო დავით აღმაშენებელმა.

წმინდა გიორგისა და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიები აგებულია XIII საუკუნეში. მონასტერი დიდი ხნის განმავლობაში იყო საქართველოს მთავარი სულიერი და კულტურული ცენტრი. მონასტერთან არსებობდა აკადემია, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მოაზროვნეები და ღვთისმეტყველნი. მათ შორის იყვნენ ნეოპლატონისტი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, სასულიერო მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი, ჰიმნოგრაფი არსენ იყალთოელი და სხვები.

გელათის მონასტერში შემორჩენილია XII-XVII საუკუნეების ხელნაწერები და კედლის მხატვრობა.

ჯვრის მონასტერი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთასთან ახლოს. აგებულია VI საუკუნეში. წარმოადგენს ადრეული შუა საუკუნეების ქართული ტაძრის თითქმის ხელუხლებლად შემორჩენილ იშვიათ ნიმუშს. მან სათავე დაუდო ჯვრის ტიპის გუმბათოვანი ეკლესიების დამკვიდრებას ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში. ტაძარი მდებარეობს მთის მწვერვალზე, ზღვის დონიდან 656 მეტრ სიმაღლეზე და ბუნებასთან შერწყმის შესანიშნავი მაგალითია.

ბოლნისის სიონის საკათედრო ტაძარი მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში. აიგო 478-493 წლებში და არის უძველესი საეკლესიო ნაგებობა საქართველოში. ტაძრის კედელზე გამოხატული ორიგინალური ჯვარი საქართველოს ეროვნულ სიმბოლოდ ითვლება.

გერგეთის წმინდა სამების ეკლესია აიგო XIV საუკუნეში. ის მდებარეობს მაღალი მთის მწვერვალზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 2 170 მეტრზე. ტაძარი პოპულარულია მომლოცველთა შორის. გერგეთის სამებამდე ფეხით მისვლას საათ-ნახევარი სჭირდება.

დავით გარეჯის მონასტერი არის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ში, გარეჯის სერზე. კომპლექსი მოიცავს 19 მონასტერს და ასობით სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობას. მათი უმრავლესობა გამოკვეთილია კლდეში.

მონასტერი დაარსდა დავით გარეჯელის მიერ, რომელიც იყო ერთ-ერთი იმ 13 ასირიელ მამას შორის, რომლებიც იმ პერიოდში საქართველოში ჩამოვიდნენ. მონასტერში ნაპოვნია ეპიგრაფები, რომელთა უმრავლესობა ქართულ ენაზეა შედგენილი. არსებობს ასევე 20 სომხურენოვანი, 8 ბერძნულენოვანი და 21 არაბული ეპიგრაფები. არსებობს ასევე ერთი ეპიგრაფი, რომლის ტექსტიც ოთხივე ენაზე არის შედგენილი.

ვარძია არის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი, XII-XIII საუკუნეების ქართული მხატვრული კულტურის ძეგლი. მდებარეობს ისტორიულ ჯავახეთში, ზღვის დონიდან 1300 მეტრზე. ვარძიის ქვაბულები გრძივად დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, 500 მ-იანი ფრონტითაა გადაშლილი. ვარძია შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

შიომღვიმე ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მონასტერია. მდებარეობს თბილისიდან 30 კმ-ში და მცხეთიდან 13 კმ-

ში. კომპლექსში შედის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, იოანე ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია, ზემო ეკლესია, სატრაპეზო, მონასტრის მახლობლად მდებარე სამლოცველო და სხვა.

ფოთის საკათედრო ტაძარი აია სოფიას მიბაძვა და აშენდა 1906-07 წლებში ქალაქის მერის ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით. აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძემ საკათედრო ტაძრის ადგილმდებარეობა ქალაქის ცენტრში ისე აირჩია, რომ იგი ფოთის ყველა მხრიდან გამოჩენილიყო. ალექსანდრე ზელენკო და რობერტ მარფელი იყვნენ ამ ნეო-ბიზანტიური ტაძრის არქიტექტორები და მისი ტევადობა 2000 ადამიანს შეადგენს. ეკლესიის დეკორაციები გაკეთებულია ტრაპიზონის მთებში შუა საუკუნეების ქრისტიანული ტაძრების მიხედვით.

საქართველოში ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ეკლესია-მონასტერია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მდიდარია ქვეყნის დედაქალაქი თბილისი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ისევე როგორც ქვეყნის, მართლმადიდებელია, თბილისში გვხვდება მეჩეთები, კათოლიკური და სომხური ეკლესიები და სინაგოგები. ეს მოვლენა მოწმობს როგორც თბილისის კოსმოპოლიტურ ხასიათს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის შემწყნარებლობას სხვადასხვა რელიგიის მიმართ.

ქართული სამზარეულო და ღვინო

ქართულ სამზარეულოს და ღვინის კულტურას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია. ერთ-ერთი გამორჩეული ტრადიციაა ქართული სუფრა, რომელიც მეგობრებთან და ოჯახთან სოციალიზაციის განსაკუთრებულ საშუალებას წარმოადგენს. სუფრის ხელმძღვანელი, თამადა წარმოთქვამს სადღეგრძელოებს და ზრუნავს სუფრის წევრების კარგ განწყობილებაზე. საქართველოს რეგიონები ცნობილია თავისი განსაკუთრებული კერძებით. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში ამზადებენ ხინკალს (ერთგვარი ცომის ტომარა, რომელშიც მოთავსებულია გატარებული ხორცი), ხოლო იმერეთი, სამეგრელო და აჭარა ცნობილია ხაჭაპურის საკუთარი სახეობით.

საქართველოში ყურძნის კულტურა და ღვინის დამზადება უძველესი ტრადიციაა, რომელიც ათასწლეულებს ითვლის. ამ თვალსაზრისით საქართველო ერთ-ერთი უპირველესი ქვეყანაა. 2013 წელს იუნესკომ ქვეყრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიცია მსოფლიო კულტურული ტრადიციების სიაში შეიტანა.

ციხე-სიმაგრეები

საქართველოში შემორჩენილია არაერთი ისტორიული ციხე-სიმაგრე. წარმოგიდგინთ ზოგიერთ მათგანს:

ნარიყალა არის უძველესი ციხესიმაგრე, რომელიც მდებარეობს თბილისში, ძველი აბანოებისა და ბოტანიკური ბაღის გვერდით. ციხის ზედა ნაწილში მდებარეობს წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია. ციხე-სიმაგრე სავარაუდოდ აიგო IV საუკუნეში ირანის ბატონობის პერიოდში და ისტორიულ წყაროებში

მოხსენიებულია როგორც „შურის ციხე“. მოგვიანებით მონღოლებმა მას უწოდეს „ნარინ კალა“, ანუ „პატარა ციხე“. 1827 წელს, მიწისძვრის შედეგად ნარიყალა მნიშვნელოვნად დაზარალდა.

რაბათის ციხე არის ისტორიული ციხე ახალციხის მუნიციპალიტეტში. ციხის ისტორია IX საუკუნიდან იწყება მისი თავდაპირველი სახელწოდება „ლომსია“ იყო. სამცხე-ჯავახეთში ოსმალეთის მმართველობის დროს (1578-1829) რაბათის ციხის განახლება მოხდა. დღეს არსებულ შენობათა უმეტესობა XVII-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. ციხე-კომპლექსი მოიცავს გალავანს, ციტადელს, ტაძარს, მეჩეთსა და სასახლეს.

2011-2012 წლებში მიმდინარე რეკონსტრუქციის შედეგად ციხე-კომპლექსის ტერიტორიაზე განახლდა გალავანი, ციტადელი, IX-X სს-ის მართლმადიდებლური ტაძარი, მეჩეთი, მედრესე, მინარეთი და სასახლე, სადაც განთავსდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის საგამოფენო დარბაზი. ამჟამად რაბათის ციხე ღიაა ტურისტებისთვის.

ანანურის კომპლექსი მდებარეობს თბილისიდან 70 კმ-ის დაშორებით იმავე სახელწოდების სოფელში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში. აიგო XVII-XVIII საუკუნეებში. კომპლექსი მოიცავს გალავანს თავდაცვითი ნაგებობებითა და კოშკებით, ღვთისმშობლის ეკლესიას, მკურნალის ეკლესიას და ღვთაების ეკლესიას, ასევე სამრეკლოს, გუმბათოვან ოქტაგონური ფორმის ნაგებობას და წყლის საცავს.

გორის ციხე მდებარეობს ქალაქ გორში, შიდა ქართლის რეგიონში. გორის ციხე წყაროებში VII ს-დან იხსენიება. ის მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა: მისი დაუფლება ნიშნავდა პოლიტიკურ ბატონობას მთელ შიდა ქართლზე. საუკუნეების მანძილზე გორის ციხე არაერთხელ განახლებულა და გადაკეთებულა. ციხე შედგება ციტადელის, ფერდობზე ნაგები „ცხრაკარასაგან“ და ეკლესიის ნანგრევებისგან. ციხეს დასავლეთით ჰქონდა გვირაბი მდინარიდან წყლის ამოსაზიდად და წყალსაცავი.

სურამის ციხე მდებარეობს დაბა სურამში (ხაშურის მუნიციპალიტეტი, შიდა ქართლი). ციხის მშენებლობა XI საუკუნეს განეკუთვნება. ციხე-სიმაგრე სხვადასხვა ნაგებობათა კომპლექსია. მასში შედის: გალავანი, ციხე, წმინდა გიორგის ეკლესია და სასახლე.

გრემი XVI საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლია - სამეფო ციტადელი და მთავარანგელოზთა ეკლესია კახეთში. სამშენებლო კომპლექსი მოიცავს ოდესღაც აყვავებულ ქალაქ გრემის შემორჩენილ ნაგებობებს და მდებარეობს იმავე სახელწოდების სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, თბილისიდან აღმოსავლეთით 125 კმ-ში. მოიცავს ციხესიმაგრეს, ეკლესიას სამრეკლოთი და ციხის გალავანით. ციხეში განთავსებულია მუზეუმი, სადაც მრავალი არქეოლოგიური აღმოჩენა და ეთნოგრაფიული მასალაა გამოფენილი.

ყვარლის ციხე არის არქიტექტურულ-ისტორიული ძეგლი, მდებარეობს ქალაქ ყვარლის ცენტრალურ ნაწილში. აგებულია XVII საუკუნის I ნახევარში. იგი კახეთის გვიანდელი შუა საუკუნეების ციხეებიდან ყველაზე დიდია. მიეკუთვნება ციხე-

გალავანთა ტიპს და ამ ტიპის ციხეების მსგავსად დგას ვაკეზე. ჰქონდა განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა და იყენებდნენ მხოლოდ საბრძოლო ვითარებისას. ციხე რიყის ქვითაა ნაგები. მისი გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხეა, რომლის ოთხივე კუთხეში ცილინდრული კოშკებია აღმართული.

სიღნაღის ციხე-გალავანი, რომელიც მდებარეობს კახეთის რეგიონში, აგებულია 1762 წელს, ერეკლე მეფის მიერ. სიღნაღის ციხეს თავდაპირველი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. დღეს გალავნის მთელ სიგრძეზე განლაგებულია ცილინდრული კოშკები, ხოლო მათ შორის კონტრფორსები. სულ 23 კოშკია, რომელთა შორის მანძილები არათანაბარია.

ნოქალაქევი წარმოადგენს ძველ დასახლებასა და არქეოლოგიური გათხრების სივრცეს, რომელიც მდებარეობს მდინარე ტეხურის ნაპირზე, სენაკის მუნიციპალიტეტში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. რომელიც და ბიზანტიელი ისტორიკოსები მას არქეოპოლისად მოიხსენიებენ. დასახლება მოიცავს 20 ჰექტარ ტერიტორიას და იქ ნაპოვნია ელინისტური და ბიზანტიური ეპოქების ძეგლები. არსებული მონაცემებით ნოქალაქევი დასახლებული იყო ძვ.წ. პირველი ათასწლეულიდან. შენობების უმრავლესობა თარიღდება IV-VIII საუკუნეებით, როდესაც არქეოპოლისი იყო ლაზიკის დედაქალაქი.

გონიოს ციხეს თავდაპირველად ერქვა აფსაროსი. წარმოადგენს რომაულ სიმაგრეს აჭარაში, ზღვასთან ახლოს, ბათუმიდან 4 კმ და თურქეთის საზღვრიდან 4 კმ-ში. ციხის სახელწოდება უკავშირდება მითს მედეასა და მისი ძმის, აფსაროსის შესახებ.

გონიოს ციხის შესახებ უძველესი ცნობა ეკუთვნის რომაელ ავტორ პლინიუს სეკუნდუსს (ახ. წ. I ს.). მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ასევე აპიანე (II ს.) და სხვა ავტორები. ქალაქი ასევე განთქმული იყო თავისი თეატრითა და იპოდრომით. პროკოფი კესარიელი VI საუკუნის თავის თხზულებებში საუბრობს მის ნანგრევებზე, რაც ადასტურებს, რომ იგი ოდესღაც დიდი მნიშვნელობის ადგილი იყო.

პეტრას ციხე მდებარეობს სოფელ ციხისძირში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი, აჭარის ა/რ) ზღვის დონიდან 440 მეტრზე, ქობულეთიდან 9 კმ-ში. ციხე ბერძენმა სარდალმა იოანე სტრატეგოსმა 535 წელს ააშენა. პეტრა მიუვალ ციხეთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. აქ გადიოდა გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ბიზანტიასთან, ირანთან და სომხეთთან აკავშირებდა.

უფლისციხე, კლდეში ნაკვეთი ქალაქი მდებარეობს ქალაქ გორიდან 10 კმ-ის დაშორებით. უფლისციხე წერილობით წყაროებში VII ს-დან იხსენიება. უფლისციხესა და მის შემოგარენში დაცულია არქეოლოგიურ და ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ჯგუფი, რომელთაგან უძველესი ადრინდელი ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. ქალაქს აქვს ქუჩები, სკვერები, წყლის საკანალიზაციო სისტემა, ოთხი კარიბჭე, საიდუმლო გვირაბი, გალავანი და ა. შ. დღეისათვის ის ითვლება მუზეუმად ღია ცის ქვეშ.

ქალაქები

თბილისი საქართველოს დედაქალაქი და უდიდესი ქალაქია. იგი დაარსებულია V საუკუნეში, როდესაც მცხეთიდან აქ გადმოიტანეს ქართული სამეფოს დედაქალაქი. ქალაქის მოსახლეობა 1 მილიონს აჭარბებს. თბილისს კვეთს მდინარე მტკვარი, რომელიც ამიერკავკასიის უდიდესი მდინარეა. ქალაქი არაბებმა VII საუკუნეში დაიპყრეს. 1122 წელს მეფე დავით IV-მ თბილისი დაიბრუნა და აქცია ქვეყნის დედაქალაქად.

ძველ თბილისში, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში, არის ბევრი ძველი, შუა საუკუნეების ეკლესია. თბილისი გამოირჩევა ტრადიციული სახლებით ხის აივნებით. ქალაქი განსაკუთრებულ არქიტექტურულ ესთეტიკას ავლენს, რადგან დროთა განმავლობაში განიცადა რუსების, ბიზანტიელების, სპარსელებისა და ოსმალების გავლენა. თბილისი მულტიკულტურული ქალაქია სხვა კავკასიელი ხალხების, ასევე ბერძნული, გერმანული, ებრაული, ასირიელების და ესტონელების თემებით.

თბილისი წამყვანი ტურისტული მიმართულებაა, რომელიც გთავაზობთ დიდებულ ქალაქურ პეიზაჟებს, უნიკალურ არქიტექტურას, ეროვნულ მუზეუმებსა და გალერეებს, კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, ფესტივალებს და ტრადიციულ ქართულ სამზარეულოს.

ქუთაისი არის ერთ-ერთი უძველესი მუდმივად დასახლებული ქალაქი მსოფლიოში და მოსახლეობის რაოდენობით მესამე ქალაქი საქართველოში თბილისისა და ბათუმის შემდეგ (2020 წლის მონაცემებით). მდებარეობს თბილისიდან დასავლეთით 220 კმ-ში, მდინარე რიონზე და არის იმერეთის მხარის დედაქალაქი.

ქუთაისი ისტორიულად საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქია. არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ქალაქი კოლხეთის დედაქალაქი იყო ძვ.წ. VI-V საუკუნეებში. ითვლება, რომ არგონავტების შესახებ მითში აპოლონიოს როდოსელი ქუთაისს არგონავტების საბოლოო დანიშნულების ადგილად მიიჩნევდა, ისევე როგორც მეფე აიეტის რეზიდენციის არსებობას გულისხმობს ქალაქში. შუა საუკუნეებში ის იყო „აფხაზთა სამეფოს“ და საქართველოს სამეფოს დედაქალაქი, შემდეგ კი იმერეთის სამეფოს დედაქალაქი.

ქალაქის სიმბოლოა ბაგრატის საკათედრო ტაძარი, რომელიც ააგო საქართველოს მეფე ბაგრატ III-მ XI საუკუნის დასაწყისში. გელათის მონასტერი მდებარეობს ქალაქიდან აღმოსავლეთით რამდენიმე კილომეტრში. იქვე ახლოს მდებარეობს მოწამეთას მონასტერი. ის ორი წმინდანის, ძმების დავითისა და კონსტანტინეს სახელობისაა. ისინი იყვნენ მთავრები (ერისთავები) და მოწამეობრივად აღესრულნენ არაბთა დამპყრობლების შემოსევის დროს VIII საუკუნეში. ეკლესია-მონასტრების გარდა სხვა ღირსშესანიშნავი ადგილებია: გეგუთის სასახლის ნანგრევები, რომელიც იყო ქართველი მონარქების ერთ-ერთი რეზიდენცია, „ოქროს ჩარდახი“ - ქართველ მეფეთა სასახლე, 1885 წელს აშენებული სინაგოგა, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, რომელიც ამავდროულად ითვლება

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებად საქართველოში თავისი ვრცელი კვლევითი ბიბლიოთეკითა და ლაბორატორიით, კოლხეთის შადრევანი, რომელიც ამშვენებს ქალაქის მთავარ მოედანს და შეიცავს 30 ქანდაკებას და ბოტანიკური ბაღი.

ბათუმი სიდიდით მეორე ქალაქი საქართველოში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, თურქეთის საზღვრიდან ჩრდილოეთით 20 კმ-ში, კავკასიონის მთისწინეთში, სუბტროპიკულ ზონაში. ქალაქის სახელწოდება მოდის ბერძნული სიტყვიდან „ბათუსი“, რაც ღრმას ნიშნავს.

XV საუკუნეში ოსმალებმა დაიკავეს ქალაქი, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნეს. 1703 წელს ბათუმი კვლავ შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. ოსმალეთის მმართველობის საუკუნე-ნახევრის განმავლობაში იგი გახდა პროვინციული პორტი, რომელიც ემსახურება იმპერიის შიდა ზონას შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს. ოსმალეთის დაპყრობის შემდეგ დაიწყო ქრისტიანული რეგიონის ისლამიზაცია. ეს პროცესი დასრულდა მას შემდეგ, რაც რეგიონი რუსეთის იმპერიას შეუერთდა 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ.

ბათუმის ეკონომიკის დიდი ნაწილი ორიენტირებულია ტურიზმსა და აზარტულ თამაშებზე, მაგრამ ქალაქი ასევე მნიშვნელოვანი პორტია და მოიცავს ისეთ ინდუსტრიებს, როგორცაა გემთმშენებლობა, საკვების გადამამუშავებელი და მსუბუქი წარმოება. 2010 წლიდან ბათუმი გადაიქცა თანამედროვე მაღალსართულიანი შენობებისა და ისტორიულ ძველ ქალაქში მდებარე მე-19 საუკუნის კლასიკური შენობების ჰარმონიული შერწყმის ადგილად.

ტურისტებისთვის საინტერესო ადგილები ბათუმში: მოდერნისტული არქიტექტურა, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, აკვარიუმი, ბოტანიკური ბაღი, ცირკი, ბულვარი, დელფინარიუმი, ანბანის კოშკი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი და ა. შ.

ფოთი საპორტო ქალაქია, რომელიც მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, ქვეყნის დასავლეთით. ფოთი დაარსდა როგორც ბერძნული კოლონია ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში და ეწოდა ფაზისი. ფოთი ზომითა და მნიშვნელობით განსაკუთრებით გაიზარდა ქალაქის მერის, ნიკო ნიკოლაძის დროს 1894-1912 წლებში. ნიკო ნიკოლაძე, რომელიც თანამედროვე ფოთის ფუძემდებლად ითვლება, ხელმძღვანელობდა მოდერნიზაციისა და მშენებლობის პროექტებს. იმ პერიოდში აიგო თეატრი, დიდი საკათედრო ტაძარი, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ა. შ.

გორი საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან დასავლეთით 86 კმ-ში მდებარეობს და მოსახლეობის რაოდენობით მეხუთე ქალაქია საქართველოში. მისი სახელწოდება მომდინარეობს ქართული სიტყვიდან გორა, რაც ბორცვს ან მთას ნიშნავს.

აქ ელინისტური ხანიდან ცნობილმა დასახლებამ, გორის ციხე-სიმაგრით, რომელიც აშენდა სულ მცირე VII საუკუნეში, ქალაქის სტატუსი XII საუკუნეში მიიღო.

გორი შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი სამხედრო ციხე იყო და ინარჩუნებს სტრატეგიულ მნიშვნელობას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ მთავარ გზატკეცილზე მდებარეობის გამო. გორი თავისი ისტორიის მანძილზე არაერთხელ წარმოადგენდა დამპყრობლების თავდასხმის ობიექტს. ქალაქი ასევე ცნობილია როგორც საბჭოთა ლიდერისა და პოლიტიკოსის იოსებ სტალინის, ბალისტიკური რაკეტების კონსტრუქტორის ალექსანდრე ნადირაძისა და ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის სამშობლო.

თელავი არის კახეთის აღმოსავლეთ რაიონის მთავარი ქალაქი და ადმინისტრაციული ცენტრი. თელავის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე ადრე შემორჩენილი ცნობა მომდინარეობს ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნიდან, ბერძენი გეოგრაფის კლავდიუს პტოლემეოსისგან. მე-10-მე-12 საუკუნეებში თელავი კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. ქართული სახელმწიფოს ოქროს ხანაში (XII-XIII სს.) თელავი იქცა ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად.

თელავი ერთადერთი ქალაქია საქართველოში, სადაც ოთხი ისტორიული პერიოდის ოთხი ციხე შედარებით ხელუხლებელი რჩება. ამ მიზეზით, არქიტექტორები, მეცნიერები და ხელოვნებათმცოდნეები თელავს მიიჩნევენ ქვეყნის ყველაზე „შუა საუკუნეობრივ“ ქალაქად.

მესტია წარმოადგენს დაბას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში. მდებარეობს სვანეთის მხარეში 1500 მეტრის სიმაღლეზე, კავკასიონის მთებში. მის მოსახლეობას ძირითადად სვანები შეადგენენ, ქართველთა კულტურული და ლინგვისტური ქვეჯგუფი. მიუხედავად მცირე ზომისა, ქალაქი საუკუნეების მანძილზე იყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი და აქ დაცულია შუა საუკუნეების რამდენიმე ძეგლი, რომლებიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

ქალაქში დომინირებს ქვის თავდაცვითი კოშკები. ტიპური სვანური გამაგრებული საცხოვრებელი შედგებოდა კოშკის, მიმდებარე სახლისა და ზოგიერთი სხვა საყოფაცხოვრებო ნაგებობისგან, რომელიც გარშემორტყმული იყო თავდაცვითი კედლით.

მესტიას თამარ მეფის სახელობის აეროპორტი ემსახურება, რომელიც 2010 წლიდან ფუნქციონირებს.

მუზეუმები

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნული მუზეუმი მდებარეობს თბილისში. მუზეუმში დაცულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმისმატიკური, გეოლოგიური და სხვა სახის მასალები. მუზეუმში თავმოყრილია დიდძალი, პირველხარისხოვანი მასალა, რომელიც ასახავს როგორც საქართველოს, ასევე კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ბუნებისა და მოსახლეობის მატერიალური კულტურის ისტორიის ცალკეულ პერიოდებს.

მუზეუმის შენობაში განთავსებულია ასევე საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, რომელშიც დაცულია საბჭოთა ოკუპაციის პერიოდის (1921-1990) ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტური (დახვრეტილთა და გადასახლებულთა სიები) და ფოტომასალა, მოსასმენი აპარატები, მემორიალური ნივთები. მუზეუმის დარბაზში წარმოდგენილია ინსტალაციები და ციხის 6 კარი.

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ მდებარეობს ქალაქ თბილისში და ასახავს საქართველოს მრავალფეროვან ეთნოკულტურას. მუზეუმის ტერიტორია მოიცავს 50 ჰექტარს და დაყოფილია 11 ზონად. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები წარმოდგენილია ათ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონაში, რომელთაგანაც ხუთი აღმოსავლეთ და ხუთი დასავლეთ საქართველოს წარმოაჩენს.

მუზეუმთან ახლოს მდებარეობს კუს ტბა, სარბენი ბილიკი და განთავსებულია კვების ობიექტები. ვაკის პარკის ტერიტორიიდან მუშაობს საბაგრო.

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი მდებარეობს თბილისში. მასში დაცულია ქართული ხელოვნების ნიმუშები უძველესი დროიდან დღემდე: ქართული ოქრომჭედლობა, ტიხრული მინანქრები, საიუველირო ნაწარმი, მხატვრული ქსოვილები, ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშები.

ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს თბილისში და მოიცავს 100-ზე მეტი ქართველი ხელოვანის 3500 ნამუშევარს.

ეროვნული სასახლე მდებარეობს თბილისში. სწორედ ამ სასახლეში გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს (ასევე აქ გამოაცხადეს 1918 წლის 28 მაისს დამოუკიდებლობა სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებმა).

სასახლის ისტორიულ მუზეუმში დაცულია უნიკალური ექსპონატები, ხელოვნების ნიმუშები, თანამედროვე მხატვრების მიერ შესრულებული ფერწერული ნამუშევრები, ქანდაკებები, არქიტექტორული ნახაზები, ანტიკვარული ავეჯი, სამკაული და ჭურჭელი, სიმბოლური დანიშნულების მქონე ნივთები და სხვა. დარბაზებში გამოფენილია მეფისნაცვლის დროინდელი ნივთები, სასახლის დაარსების დღიდან მიღებული ჯილდოები და საჩუქრები, ცნობილი მხატვრის, ლადო გუდიაშვილის ესკიზის ასლები.

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა მდებარეობს თბილისში. გალერეაში 8 დარბაზი ფუნქციონირებს. აქ შეგიძლიათ დაათვალიეროთ ნიკო ფიროსმანაშვილის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის და იაკობ ნიკოლაძის ნამუშევრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია.

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა) მდებარეობს თბილისში, მის ფონდებში 50 000-ზე მეტი ექსპონატი ინახება. ისინი ასახავს თბილისის ისტორიას ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან დღემდე. მუზეუმში დაცულია არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, დოკუმენტური მასალა, უმდიდრესი ფოტოკოლექცია, ხალხური, გამოყენებითი და სახვითი ხელოვნების ნიმუშები.

ილუზიების მუზეუმი მდებარეობს თბილისში, სადაც გელოდებათ ილუზიების ჯადოსნური სამყარო. აქ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ: კლონის მაგიდა, სკამის ილუზია, ეიმის ოთახი, ანტი-გრავიტაციის ოთახი, მბრუნავი ოთახი, უსასრულო ოთახი, vortex-ის გვირაბი, უსასრულო გვირაბი, კალეიდოსკოპი, ორაზროვანი ცილინდრი, თავი ლანგარზე, ცხვირების გაცვლა, ოპტიკური ილუზიები და სხვა.

დადიანების სასახლეთა სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი მდებარეობს ზუგდიდში (სამეგრელო). სასახლის კომპლექსში შედის დედოფლის სასახლე, ნიკოსეული სასახლე, მთავრისეული ტაძარი და სასახლესთან არსებული ბოტანიკური ბაღი.

სასახლეში დაცულია არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის და მისი ოჯახის წევრების პირადი ნივთები, ნაპოლეონ I-ის ბრინჯაოს ნიღაბი.

მუზეუმში დაცულია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი. ყოველი წლის 15 ივლისს აღინიშნება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამოსლის დადების დღესასწაული - ვლაქერნობა. ამ დღეს ღვთისმშობლის კვართს მუზეუმიდან გადააბრძანებენ იქვე მდგარ ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ტაძარში, სადაც აღესრულება სადღესასწაულო ღვთისმსახურება და მომლოცველებს შესაძლებლობა აქვთ მთელი დღის განმავლობაში ემთხვიონ ამ სიწმინდეს.

მუზეუმის გარშემო მდებარეობს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, სადაც ოთხმოცამდე ჯიშის ხე ხარობს, მათ შორის მაგნოლია, მუხა, ჰიმალაის კედარი, კანარის ვერხვი და სხვა.

იოსებ სტალინის სახელმწიფო მუზეუმი მდებარეობს გორში, სადაც თავმოყრილია მემორიალური ნივთები, ფერწერული ტილოები, ფოტო-კინო დოკუმენტები, სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპოზიცია. მუზეუმში დაცულია 60 000 ექსპონატი. მუზეუმში ცალკე არის გამოყოფილი სტალინის სამუშაო კაბინეტი, სადაც განთავსებულია ისეთი მემორიალური ნივთები, როგორცაა: სტალინის ნაქონი ჩიბუხები, გერმანული „პელიკანის“ ფირმის ავტოკალამი, რომლითაც სტალინი სარგებლობდა პოტსდამის კონფერენციაზე, „სიმენსის“ ფირმის შავი ტელეფონი და სხვა. მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია სტალინის პირადი ვაგონი, რომლითაც მან იმგზავრა თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტის დაბა ვანში, ვანის ნაქალაქარის მიდამოებში. მუზეუმში დაცული მასალა მოიცავს პერიოდს ძვ.წ. VIII საუკუნიდან I საუკუნის ჩათვლით. აქ ინახება ოქრომჭედლობის უნიკალური ნიმუშები, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობები, ნუმიზმატიკის ნიმუშები და სხვა.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მდებარეობს დაბა მესტიაში და იქ დაცულია: არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური მასალა; ქართული ჭედური ხელოვნებისა და ხატწერის უნიკალური ნიმუშები; უძველესი

ხელნაწერები; საომარი აღჭურვილობა; რკინის, ვერცხლის, სპილენძის ნაკეთობები; სამკაულები.

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი მდებარეობს ქუთაისში. მუზეუმში დაცულია 150 000-ზე მეტი ექსპონატი. აქ წარმოდგენილია: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა; ჭედური ხელოვნების ნიმუშები; საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები.

დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეა მდებარეობს ქუთაისში. მუზეუმში დაცულია 3000-მდე ექსპონატი, რომლებიც მოიცავენ: ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას და გამოყენებით ხელოვნებას. აქ წარმოდგენილია ნიკო ფიროსმანის, გიგო გაბაშვილის, ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის და სხვათა ნამუშევრები.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი მდებარეობს ახალციხეში ე. წ. „რაბათის“ ტერიტორიაზე, სადაც დაცულია 25 000-ზე მეტი ექსპონატი, მათ შორის: არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური მასალა; უძველესი ხელნაწერები; ფოტო დოკუმენტები; ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები.

თელავის ისტორიული მუზეუმი მდებარეობს თელავში, სადაც დაცულია 65 000 ექსპონატი, მათ შორის: არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური და სხვა სახის მასალა.

ეროვნული პარკები

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მოიცავს საქართველოს ექვს მუნიციპალიტეტს: ბორჯომს, ხარაგაულს, ახალციხეს, ადიგენს, ხაშურსა და ბაღდათს. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტული მარშრუტების ქსელი ზღვის დონიდან 400 მ-დან 2642 მეტრამდე აღწევს. ბილიკების გასწვრივ მოწყობილია საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები. ასევე გამოყოფილია ადგილები ცეცხლის დასანთებად. ტერიტორიაზე 64 სახეობის ძუძუმწოვარია აღრიცხული, რომელთაგან 11 კავკასიის ენდემია, ხოლო 8 სახეობა - საქართველოს „წითელ ნუსხაშია“ შესული. ამ ტერიტორიაზე 217 სახეობის გადამფრენი და მობინადრე ფრინველი გვხვდება, მათგან 13 სახეობა საქართველოს „წითელ ნუსხას“ განეკუთვნება.

ვაშლივანის ეროვნული პარკი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი) და 25 021 ჰექტარზეა გადაჭიმული. აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება მდინარე ალაზანი, რომელზედაც გადის აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი, სამხრეთიდან - ელდარის დაბლობი და მდინარე ლეკისწყალი, დასავლეთიდან - პატარა შირაქი და ელდარის დაბლობი. ვაშლივანის ეროვნულ პარკში ბინადრობს დათვი, ფოცხვერი, წავი, გარეული ღორი, აფთარი, მგელი, შავარდენი, კოლხური ხოხობი, ბულბული.

მტირალას ეროვნული პარკი მდებარეობს ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა). ის ქალაქ ბათუმიდან 25 კმ-ში მდებარეობს, ხოლო მისი ადმინისტრაციული შენობა დაბა ჩაქვში მდებარეობს. პარკში მოწყობილია ზიპ-ლაინი. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სალაშქრო, საცხენოსნო, სამეცნიერო და ეკოტურებს სთავაზობს. აქ ბინადრობს ცხოველებისა და ფრინველების მრავალი სახეობა.

კოლხეთის ეროვნული პარკი მდებარეობს ზუგდიდის, ხობის, სენაკის, აბაშისა (სამეგრელოს რეგიონი) და ლანჩხუთის (გურიის რეგიონი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მისი საერთო ფართობი 44308 ჰექტარს შეადგენს, აქედან ზღვის აკვატორიას უკავია 15276 ჰექტარი. მდინარეების, ჭურიისა და ფიჩორის ხეობაში, ასევე, პალიასტომისა და ოქროს ტბაზე შესაძლებელია დაგეგმით ნავებით, კატერით, პანტონით და კაიაკით გასეირნება, შემდგომ კი კოლხური ტყისა და უნიკალური ჭაობების მონახულებას შეძლებთ. კოლხეთის ეროვნულ პარკში 100-ზე მეტ სხვადასხვა სახეობის გადამფრენ ფრინველზე დაკვირვებისთვის, სათვალთვალო კომპლექსები მოწყობილი.

პარკში განსაკუთრებით საინტერესოა პალიასტომის ტბა, შავი ზღვის აკვატორია, უნიკალური ჭაობები და კოლხური ტყე. იგი გამოირჩევა ველური ფლორისა და ფაუნის მაღალი ბიომრავალფეროვნებით, ენდემური და რელიქტური სახეობების სიუხვით.

ვაკის პარკი მდებარეობს ქალაქ თბილისში. პარკი 1946 წელს გაიხსნა და მისი ფართობი 200 ჰექტარს შეადგენდა, ამჟამად მისი ფართობი უფრო ნაკლებია. ეს ადგილი თბილისელების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ დასასვენებელ ადგილს წარმოადგენს. აქ განთავსებულია მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი და 1923 წელს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილი „სამხედრო ცენტრის“ წევრების მემორიალი. პარკში ხშირად იმართება კონცერტები.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი მდებარეობს ქალაქ თბილისში. მისი ფართობი 97 ჰექტარს შეადგენს. ბაღში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ვარდნარი, იასამნები, წიწვოვანი კოლექცია, იაპონური ბაღი. ბაღში მოწყობილია დასასვენებელი ადგილები, სასეირნო ბილიკები, კაფე, მუზეუმი, სადღესასწაულო სივრცე, სადაც ჯვრისწერის ცერემონიალის მოწყობაა შესაძლებელი, საბავშვო სივრცე საქანელებით და სხვა გასართობებით. ნარიყალას ციხიდან ბოტანიკურ ბაღში შესაძლებელია ზიპ-ლაინით დაშვება, აქვეა საცოცი კლდე ალპინიზმის მოყვარულთათვის. ბაღის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 6 სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება, ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერეა და სანერგე მეურნეობა.

შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი მდებარეობს კურორტ შეკვეთილში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, გურია) და უნიკალურია თავისი ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მთელ კავკასიაში. პარკი 60 ჰექტარზეა გაშენებული და აქ არის როგორც ადგილობრივი ენდემური ჯიშის ხეები, ასევე მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან შემოტანილი ეგზოტიკური მცენარეები.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი მდებარეობს ქალაქ ზუგდიდში (სამეგრელო) დადიანების სასახლეებთან. პარკში წარმოდგენილია ოთხმოცამდე ჯიშის ხეები, მათ შორის მაგნოლიის ექვსი სახეობა, ჰიმალაის კედარი, კანაფის ვერხვი და სხვა.

წინანდლის ბაღი მდებარეობს სოფელ წინანდალში (თელავის მუნიციპალიტეტი, კახეთი), რომელიც 12 ჰექტარზეა გაშენებული. აქ არის ევროპული, აზიური და ამერიკული წარმოშობის ეგზოტიკური ჯიშების მცენარეები. ბაღის ტერიტორიაზე მდებარეობს ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლე, რომელშიც განთავსებულია ღვინის საცავი და შეგიძლიათ დააგემოვნოთ სხვადასხვა ჯიშის ღვინო.

ალგეთის ეროვნული პარკი მდებარეობს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლი), ქალაქ თბილისიდან 60 კმ-ის დაშორებით. აქ წარმოდგენილია ნაძვნარი, წიფლნარი, მუხნარი, ფიჭვნარი, რცხილნარი, იფნარი, არყნარი. პარკის ტერიტორიაზე ბინადრობს მურა დათვი, მგელი, ფოცხვერი, კვერნა, ციყვი, ძილგუდა, კურდღელი, მელა, გარეული ღორი, შველი, კავკასიური როჭო, არწივი, ქორი, მიმინო, კაკაჩა, ჭოტი, ოფოფი, მერცხალი, კოდალა, შაშვი, ჩხიკვი და სხვა.

სათხილამურო კურორტები

საქართველოს გააჩნია სათხილამურო კურორტები, რომლებმაც პოპულარობა მოიპოვეს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებს შორის. მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი სათხილამურო კურორტები: გუდაური, ბაკურიანი, ხაწვალი, თეთნულდი და გოდერძი.

გუდაური არის ძალიან პოპულარული სათხილამურო კურორტი, რომელიც მდებარეობს დიდი კავკასიონის მთიანეთში. იგი მდებარეობს თბილისიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 120 კილომეტრში. გუდაური აღიარებულია, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სათხილამურო მიმართულება და იზიდავს შიდა და საერთაშორისო ვიზიტორების მზარდ რაოდენობას.

გუდაური გთავაზობს თხილამურებით სრიალისა და სნოუბორდის შესანიშნავ შესაძლებლობებს, ყველა დონისთვის შესაფერისი ტრასებით. კურორტს აქვს ბილიკების ფართო არჩევანი, როგორც დამწყებთათვის ასევე პროფესიონალებისათვის. გუდაურში სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე 70 კილომეტრს აჭარბებს. არსებობს საბაგროთა ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს კომფორტულ ტრანსპორტირებას კურორტზე.

სათხილამურო სეზონი გუდაურში ჩვეულებრივ გრძელდება დეკემბრიდან აპრილამდე. სათხილამურო კურორტი მდებარეობს 1990 მეტრიდან 3279 მეტრამდე ზღვის დონიდან, რაც განაპირობებს ხანგრძლივ სეზონს.

თხილამურებისა და სნოუბორდის გარდა, გუდაური სტუმრებს სთავაზობს არაერთ სხვა აქტივობას. კურორტს აქვს სხვადასხვა ტიპის სასტუმროები და აპარტამენტები, შესაბამისი ბიუჯეტით. შეგიძლიათ იპოვოთ რესტორნები, კაფეები და ბარები, რომლებიც შემოგთავაზებენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო სამზარეულოს.

გუდაური მდებარეობს კავკასიონის ქედზე და აქვს გასაოცარი ბუნებრივი სილამაზე. ზაფხულის თვეებში აქ შესაძლებელია ლაშქრობა, პარაპლანით ფრენა და შესანიშნავი პეიზაჟებით ტკბობა.

ბაკურიანი პოპულარული სათხილამურო კურორტია, რომელიც მდებარეობს ბორჯომის რაიონში, ზღვის დონიდან დაახლოებით 1700 მეტრის სიმაღლეზე, თვალწარმტაც ხეობაში, რომელიც გარშემორტყმულია მცირე კავკასიონის დიდებული მთებით.

ბაკურიანი ათწლეულების მანძილზე ცნობილი ზამთრის კურორტია. სათხილამურო სეზონი ჩვეულებრივ გრძელდება დეკემბრიდან აპრილამდე.

ბაკურიანი ცნობილია შინაური ატმოსფეროთი და განსაკუთრებით პოპულარულია ოჯახური დასვენების მსურველთათვის. კურორტი გთავაზობთ სათხილამურო და სნოუბორდის გაკვეთილებს ყველა ასაკისა და უნარების დონეზე.

ზამთრის სპორტის გარდა, ბაკურიანს აქვს ბუნებრივი სილამაზე, რომლითაც შეგიძლიათ დატკბეთ მთელი წლის განმავლობაში. კურორტი ასევე ცნობილია თავისი სამკურნალო კლიმატით, რაც მას იდეალურ ადგილად აქცევს მათთვის, ვინც ეძებს დასვენებას ურბანული დაბინძურებისგან ან რესპირატორული დაავადებებისგან.

ბაკურიანის სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში კარგად განვითარებული ზამთრის კურორტია, რომელიც გთავაზობთ ხარისხიანი მომსახურების, ლამაზი პეიზაჟების და მეგობრული ატმოსფეროს კომბინაციას.

2023 წელს ბაკურიანმა თხილამურებსა და სნოუბორდის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა.

სათხილამურო კურორტი **ჰაწვალი** მდებარეობს სვანეთის რეგიონში, კავკასიონის მთებში, საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 460 კილომეტრში. ჰაწვალი მესტიასთან მდებარეობს, რომელიც სვანეთის რეგიონში ჩამოსული ტურისტების მთავარი კვანძია. სათხილამურო კურორტს აქვს მოვლილი ფერდობები, სიმაღლე 1900-დან 2350 მეტრამდე მერყეობს. რელიეფი მრავალფეროვანია, მოიცავს როგორც ღია ტრასებს, ასევე ტყეში გამავალ მარშრუტებს. კურორტს აქვს თანამედროვე საბაგირო მოთხილამურეების გადასაყვანად. ირგვლივ არსებული დათოვლილი მთები, მათ შორის შთამბეჭდავი უშბა, ქმნიან თვალწარმტაც ფონს მოთხილამურეებისა და სნოუბორდისტებისთვის.

სათხილამურო კურორტი **თეთნულდი** ასევე მდებარეობს სვანეთის რეგიონში, მესტიიდან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 9 კილომეტრში. ტერიტორია ცნობილია ხელუხლებელი ბუნებით, შუა საუკუნეების კომპლექსითა და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობით. სათხილამურო კურორტი არის ზღვის დონიდან დაახლოებით 3165 მეტრზე, რაც მას ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ სათხილამურო კურორტად აქცევს.

სრულდება საავიაციო რეისები: ნატახტარი-მესტია და ქუთაისი-მესტია.

სათხილამურო კურორტი **გოდერძი** მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, აჭარის რეგიონში, ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრზე. სათხილამურო ტრასების საერთო სიგრძე დაახლოებით 8 კილომეტრია.

კურორტი ცნობილია თავისი მომხიბლავი ბუნებრივი სილამაზით. უღრანი ტყეებით გარშემორტყმული ტერიტორია გთავაზობთ თოვლით დაფარული მწვერვალების განსაცვიფრებელ ხედებს.

გოდერძის სათხილამურო ცენტრი ასევე გთავაზობთ სხვადასხვა აქტივობებს ზაფხულის თვეებში. ვიზიტორებს შეუძლიათ დატკბნენ თვალწარმტაცი ბილიკებითა და პეიზაჟებით.

ეს მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია საქართველოში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტებისა. თითოეულ სათხილამურო კურორტს აქვს საკუთარი უნიკალური მახასიათებლები. მნიშვნელობა არ აქვს ხართ დამწყები თუ გამოცდილი მოთხილამურე, საქართველოს სათხილამურო კურორტები გთავაზობენ მრავალფეროვან ტრასებს, ულამაზეს პეიზაჟებს და თბილ სტუმართმოყვარეობას.

კანიონები. მღვიმეები

საქართველოში არსებობს არაერთი კანიონი და მღვიმე, რომლებიც უამრავ ტურისტს იზიდავს. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

მარტვილის კანიონი მდებარეობს სოფელ გაჭედილში (მარტვილის მუნიციპალიტეტი, სამეგრელო) ზღვის დონიდან 210 მეტრზე. კანიონის სიგრძე 2400 მ-ს, სიღრმე - 30 მ-ს, სიგანე კი - 10 მ-ს შეადგენს. კანიონის შუა წელში 15 მეტრი სიმაღლიდან ეშვება ჩანჩქერი. ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ ნავით გაისეირნონ და დატკბნენ ულამაზესი ხედებით.

ოკაცეს კანიონი მდებარეობს სოფელ გორდში (ხონის მუნიციპალიტეტი, იმერეთი). კანიონის სიგრძე 2 კმ-ს, სიღრმე - 100 მ-ს, სიგანე კი - 20 მ-ს შეადგენს. აქ არის რამდენიმე ჩანჩქერი. ექსტრემალური ტურის მოყვარულთათვის მოწყობილია კიდული ბილიკები, რომლის გავლას 2-3 საათი სჭირდება. ვიზიტორებს შეუძლიათ ისარგებლონ იქვე დამონტაჟებული სმარტ-სელფის აპარატით.

დაშბაშის კანიონი მდებარეობს სოფელ დაშბაშში (წალკის მუნიციპალიტეტი, ქვემო ქართლი) ზღვის დონიდან 1110-1448 მეტრზე. კანიონის სიგრძე 8 კმ-ია. აქ შეგხვდებით დიდი კასკადური ჩანჩქერი, როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანის მიერ შექმნილი გამოქვაბულები.

პრომეთეს კარსტული მღვიმე მდებარეობს სოფელ ყუმისთავში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, იმერეთი). აქ შეგიძლიათ დაათვალიეროთ სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების გასაოცარი ნაღვენთი ფორმებით მორთული 6 ულამაზესი დარბაზი, „გაქვავებული ჩანჩქერები,“ „ჩამოკიდებული ქვის ფარდები,“ ჰელიქტიდები, კალციტის ნაღვენთები და სხვა ორგანული ნაფენები. მღვიმეში შესაძლებელია 1420 მეტრი სიგრძის ბილიკის გავლა და სანაოსნო ტურით გასეირნება მდინარის გამდინარე ნაკადზე.

ნავენახევის კარსტული მღვიმე მდებარეობს სოფელ ნავენახევი (თერჯოლის მუნიციპალიტეტი, იმერეთი) ზღვის დონიდან 235 მეტრზე. მღვიმის სიგრძე 250 მ-ს შეადგენს. ქიმიური ნალექებიდან აქ გვხვდება სტალაქტიტებისა და სტალაგმიტების მოზრდილი ფორმები.

სათაფლის კარსტული მღვიმე მდებარეობს სოფლების გუმბრას, ბანოჯასა და ხომულის ტერიტორიაზე (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, იმერეთი) ზღვის დონიდან 500 მეტრზე. მღვიმის სიგრძე 900 მ-ს, სიგანე კი 12 მ-ს შეადგენს. აქ შეგიძლიათ ნახოთ დინოზავრის გაქვავებული ნაკვალევი.

შურუბუმუს კარსტული მღვიმე მდებარეობს სოფელ მუხურში (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სამეგრელო). აქ გვხვდება სტალაქტიტები, სტალაგმიტები, გაქვავებული ჩანჩქერები. ეს ადგილი ერთ-ერთი მიზიდულობის ცენტრია თავგადასავლების მოყვარულთათვის.

სახალხო და რელიგიური დღესასწაულები

საქართველო მდიდარია სახალხო და რელიგიური ტრადიციებით. წარმოგიდგინთ ზოგიერთ მათგანს:

თბილისობა აღინიშნება ქ. თბილისის ძველ უბანში ე. წ. ძველ თბილისში ოქტომბრის ბოლო (ან ბოლოსწინა) შაბათ-კვირას და ორ დღეს გრძელდება. ფესტივალის ფარგლებში ეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, სპორტული შეჯიბრებები, ქართული და ეთნიკური უმცირესობების ხალხური შემოქმედების კონცერტები და გამოფენა-გაყიდვები, სასოფლო-სამეურნეო ბაზრობები. ამ დღეს სხვადასხვა სფეროში მოღვაწე გამოჩენილ ადამიანებს ენიჭებათ თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

გვირილობა ანუ ქუთაისობა 2 მაისს აღინიშნება ქალაქ ქუთაისში. ამ დღეს იმართება სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ჯილდოვდებიან საპატიო მოქალაქეები.

ლომისობა უძველესი სახალხო რიტუალური დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება აღდგომის მომდევნო მეშვიდე კვირას. ამ დღეს სოფელ მღეთაში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) მომლოცველები იკრიბებიან და სწირავენ წმინდა გიორგის. ეს დღესასწაული წარმართობისა და ქრისტიანობის ერთგვარი სიმბიოზია. ტაძარში ინახება საყელურიანი დიდი რკინის ჯაჭვი. ვისაც აღთქმა აქვს დადებული, ან რაიმეს თხოვნა სურს წმინდა გიორგისთვის, ამ ჯაჭვს კისერზე დაიდებს და ტაძარს სამგზის შემოუვლის ლოცვით.

ლამპრობა უკავშირდება მირქმის ქრისტიანულ დღესასწაულს და 1 თებერვალს აღინიშნება სვანეთში. მისი მიზანია მოსავლიანობის, საქონლის, ადამიანის გამრავლება და კარგი ამინდის გამოთხოვა. წინასწარ დამზადებული არყის ან მუხის გამხმარი და დაჩქვილი ტოტებისაგან გაკეთებულ „ლამპრებს“ ანთებენ. ანთებული ლამპრების რაოდენობა ოჯახის სულადობით განისაზღვრება. ამ დროს იმართება ჭიდაობა, გუნდაობა, ფერხული „ლამპრული“. მეორე დღეს წმინდა გიორგისა და წმინდა მარიამის ლამპრობა, უფრო მოგვიანებით - ცის ლამპრობა

იმართება. ლამპრობა თავისი შინაარსით ძველ მიწათმოქმედ ხალხთა ტიპობრივი დღესასწაულია. ბუნების გაღვიძების, მზის ცხოველმყოფელობისა და გაზაფხულის დროზე დადგომის შესათხოვად ზამთარში კოცონს ანთებდნენ.

ილიაობა 2 აგვისტოს აღინიშნება გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში საგურამოში (მცხეთის მუნიციპალიტეტი). ამ დღეს ილიას მუზეუმში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულები იკრიბებიან და იმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.

ვაჟაობა იმართება ივლისში პოეტ ვაჟა ფშაველას მშობლიურ სოფელ ჩარგალში (დუშეთის მუნიციპალიტეტი) ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმში (სადაც დაცულია პოეტის პირადი ნივთები). ამ დღეს იმართება სპორტული და კულტურული ღონისძიებები, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, ჭიდაობა, დოღი.

ნოვრუზ ბაირამის დღესასწაულს აღნიშნავენ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები 21 მარტიდან სამი დღის განმავლობაში. 2010 წელს ნოვრუზ ბაირამი საქართველოში საერთო სახალხო დღესასწაულად გამოცხადდა.

ჭეჭეთობა იგივე ჭიაკოკონობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულ დღეს აღინიშნება, მაგალითად, დასავლეთ საქართველოს სოფლებში - 27 აგვისტოს ღამეს. ამ დროს ადამიანები სახლის წინ დიდ კოცონს ანთებენ და ცდილობენ მას გადაახტნენ, რაც ეშმაკეულის განრიდებას გულისხმობს. ამას გარდა ხისგან გამოთლიან ჯვარს და ჭიშკართან ამაგრებენ, ამ ჯვარმა ოჯახი უნდა დაიფაროს განსაცდელისგან მთელი წლის განმავლობაში.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრები

ტურისტებს შეუძლიათ ინფორმაციის მიღება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ვებგვერდზე www.georgia.travel. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით მოქმედებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები:

თბილისის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: თავისუფლების მოედანი, ალექსანდრე ჰუმბოლტის სახელობის სკვერი
ტელ: (+995 32) 2158697

ელ.ფოსტა: tictbilisi@gmail.com

სამუშაო საათები: ყოველდღე, ოქტომბერი-მარტი - 10:00-21:00, აპრილი-სექტემბერი - 09:00-21:00

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: თბილისის საერთაშორისო აეროპორტი (მოფრენის ტერმინალი)

ტელ: (+995 32) 2310007

ელ.ფოსტა: ticaairport@gmail.com

სამუშაო საათები: ფრენის მიხედვით

მცხეთის (მცხეთა-მთიანეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: არსუკიძის ქუჩა N3

ტელ: (+995 32) 2512128

ელ.ფოსტა: ticmtskheta@gmail.com

სამუშაო საათები: ყოველდღე, ოქტომბერი-მარტი - 10:00-18:00, აპრილი-სექტემბერი - 09:00-18:00

სტეფანწმინდის (მცხეთა-მთიანეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: ალ. ყაზბეგის მე-2 შესახვევი

ელ.ფოსტა: tickazbegi1@gmail.com

სამუშაო საათები: ყოველდღე, 09:00-18:00

თელავის (კახეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: ერეკლე II-ს ქუჩა N8

ტელ: (+995 350) 275317

ელ.ფოსტა: tictelavi1@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, 09:00-18:00

ყვარლის (კახეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: რუსთაველის ქუჩა N8

ტელ: (+995 352) 221340

ელ.ფოსტა: tickvareli@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, ოქტომბერი-მარტი - 10:00-17:00, აპრილი-სექტემბერი - 09:00-18:00

სიღნაღის (კახეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: დავით აღმაშენებლის ქუჩა N2

ელ.ფოსტა: ticsignagi@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, 10:00-18:00

ლაგოდეხის (კახეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: წმინდა ნინოს ქუჩა N14

ელ.ფოსტა: lagodekhitourisminfo@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, 09:00-18:00

ბოლნისის (ქვემო ქართლი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N115

ელ.ფოსტა: tiboldnisi@gmail.com

სამუშაო საათები: ყოველდღე, 09:00-18:00

დმანისის (ქვემო ქართლი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: წმინდა ნინოს ქუჩა N56

ელ.ფოსტა: Dmanisikultura@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, 10:00-18:00

გორის (შიდა ქართლი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: ქუთაისის ქუჩა N23ა

ტელ: (+995 370) 270776

ელ.ფოსტა: tiggori@gmail.com

სამუშაო საათები: ყოველდღე - 10:00-დან 18:00, ზამთრის პერიოდში 10:00-დან 17:00

ქარელის (შიდა ქართლი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: თამარ მეფის ქუჩა

ელ.ფოსტა: karelisturistuli@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, 10:00-17:00

ბორჯომის (სამცხე-ჯავახეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: რუსთაველის ქუჩა (სილამაზის ხიდის მიმდებარე სკვერი)

ტელ: (+995 367) 221397

ელ.ფოსტა: tiboldjomi@gmail.com

სამუშაო საათები: ყოველდღე, ოქტომბერი-მარტი - 10:00-18:00, აპრილი-სექტემბერი - 09:00-18:00

ბაკურიანის (სამცხე-ჯავახეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: აღმაშენებლის ქუჩა N17

ელ.ფოსტა: ticbakuriani@gmail.com

სამუშაო საათები: მუშაობს სეზონურად, ყოველდღე, 10:00-18:00

ახალციხის (სამცხე-ჯავახეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: ხარისჭირაშვილის ქუჩა N1

ტელ: (+995 365) 200500

ელ.ფოსტა: ticakhaltsikhe@gmail.com

სამუშაო საათები: ყოველდღე, 08:00-18:00

ქუთაისის (იმერეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: რუსთაველის ქუჩა N9ა

ტელ: (+995 322) 370000 (21)

ელ.ფოსტა: info@kutaisi.travel

სამუშაო საათები: ყოველდღე, 09:00-18:00

ქუთაისის (იმერეთი) საერთაშორისო აეროპორტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი (მოფრენის ტერმინალი)

ტელ: (+995 322) 370000 (21)

ელ.ფოსტა: info@kutaisi.travel

სამუშაო საათები: ფრენის მიხედვით

წყალტუბოს (იმერეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: ტაბიძის ქუჩა N3ა

ელ.ფოსტა: ticketsaltubo@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათ-პარასკევი - 09:00-18:00

ზუგდიდის (სამეგრელო) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: რუსთაველის ქუჩა N79

ტელ: (+995 595) 630577

ელ.ფოსტა: ticzugdidi@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, 10:00-18:00

მესტიის (სვანეთი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: სეტის მოედანი N7

ტელ: (+995 551) 080894

ელ.ფოსტა: ticmestia@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, ოქტომბერი-მარტი 10:00-18:00; აპრილი-სექტემბერი 09:00-18:00

ამბროლაურის (რაჭა) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: ვაჟა-ფშაველას ქუჩა N17

ტელ: (+995 595) 003656

ელ.ფოსტა: ticambrolauri@gmail.com

სამუშაო საათები: ყოველდღე, 10:00-18:00

ცაგერის (ლეჩხუმი) ტურისტული საინფორმაციო ცენტრი

მისამართი: რუსთაველის ქუჩა N67

ელ.ფოსტა: turizmiscentri123@gmail.com

სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი, 10:00-18:00

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა <https://datacatalog.worldbank.org/>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <https://www.geostat.ge/>

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია <https://gnta.ge/>

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო <https://apa.gov.ge/>

ვიკიპედია <https://www.wikipedia.org/>

<https://www.numbeo.com/cost-of-living/>

<https://www.openstreetmap.org/>

<https://www.diva-gis.org/>